საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 003212

07 მარტი 2022 წ. ქ. თბილისი

თვითმმართველი ქალაქი/მუნიციპალიტეტი

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის შრომის ყოველთვიურად ზეგანაკვეთების დეპარტამენტის შრომის ინსპექტორი

ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი და გვარი

2. სამართალდამრღვევი: შპს „ს. ზენინაშვილის სახელობის საოჯახო სასტუმრო“ კოდი: 416404366123 იურ. მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №23-31-33; ფაქტ. მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №23-31-33;

დირექტორმა

სახელი, გვარი, პირადი №, მისამართი უფლებამოსილი/რეგისტრაციის მიხედვით, იურიდიული პირის იერსახეობა - დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი ფაქტობრივი/რეგისტრაციის მიხედვით

3. მოწმე(ები)/დაზარალებულ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში):

სახელი, გვარი, მისამართი

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი:

შპს „ს. ზენინაშვილის სახელობის საოჯახო სასტუმრო“ კოდი: 416404366123 ფაქტ. მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №23-31-33-ში ჩატარებულ ინსპექტირებულ ინსპექტირებაზე „შრომის ყოველთვიურად ზეგანაკვეთების“ ზედამხედველობის ფორმით დადგინდა, რომ „შრომის ყოველთვიურად ზეგანაკვეთების“ ზედამხედველობის ფორმის

მუხლი 1;

მუხლი 6, პუნქტი ბრალეული, „ა“ „ბ“ „გ“ „დ“ „ე“ ქვეპუნქტებში;

მუხლი 5, მე-2 პუნქტი, „ბ“ „გ“ „დ“ ქვეპუნქტებში; მუხლი 5, მე-3 პუნქტი; მუხლი 6, პუნქტი ბრალეული, „ი“ ქვეპუნქტი; მუხლი 6, მე-3 პუნქტი „ბ“ ქვეპუნქტი;

მუხლი 6, მე-3 პუნქტი, „ი“ ქვეპუნქტი; მუხლი 5, პუნქტი 5, „გ“ ქვეპუნქტი; მუხლი 5, ნებაყოფლობითი პუნქტი „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებში; მუხლი 15, პუნქტი 2, „ა“ ქვეპუნქტი; მუხლი 6, პუნქტი 3, „ი“ ქვეპუნქტი; მუხლი 6, პუნქტი 1, „ბ“ ქვეპუნქტი; ნაწილი 3, „ვ“ ქვეპუნქტი;

ასევე დარღვეულია „ჭეშმარიტ ღირებულებად ჩამოყალიბების და შეფასების“ ზედამხედველობის ტექნიკური რეგულამენტის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ოქტომბრის №516 დადგენილებით, მუხლი 12;

„ფიზიკური ყოფნისთვის ექსპლუატაციის ზედამხედველობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის №446 დადგენილებით, მუხლი 3, პუნქტი 4, მუხლი 5, პუნქტი 1;

„ელექტრომოწყობილობების ექსპლუატაციის ყოფნისთვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1-ლ ოქტომბრის №349 დადგენილებით, მუხლი 4, პუნქტი 4;

დაფიქსირდა ადმინისტრაციული წესით ადრე ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება №003212-ში.

5. დარღვეულია „ჯრიმის აკრძალვის შესახებ“ საქართველოს [illegible] კანონის, მუხლი 23, პუნქტი [illegible]; მუხლი 22, პუნქტი [illegible];

მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი

6. დარღვევის გამოსასწორებლად მიცემული ვადა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): 45 დღე

7. სახდელის სახე, ოდენობა: [illegible] (ლარი – ჯარიმის შემთხვევაში)

სიტყვიერად

8. დამრღვევის ახსნა-განმარტება:

9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები.

10. ოქმის შემდგენელი:

სახელი და გვარი

11. სამართალდამრღვევ

12. მოწმე: _____ / _____ /

სახელი და გვარი ხელმოწერა

13. დაზარალებული: _____ / _____ /

სახელი და გვარი ხელმოწერა

14. დოკუმენტები, რომლებიც ერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს: [illegible] 1 - [illegible] №003212/1/m

საქმის გადასაწყვეტად საჭირო ცნობები, მასალები და ა.შ.; დამრღვევის ახსნა-განმარტება ან მის მიერ წარმოდგენილი სხვა მასალები

15. შენიშვნა: [illegible]

16. სამართალდამრღვევი პირის მიერ ხელმოწერაზე ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა:

დამკვეთი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „შრომის ინსპექციის სამსახური.“
დამამზადებელი: შპს კაბადონი +
სემგს-ს რეგისტრაციის № 11-5748

შენიშვნა

ოქმის მეორე მხარეს აღინიშნება:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე; თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; კანონმდებლობით დადგენილი 10 დღის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლით დადგენილი წესით გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება) ოქმის შემდგენლის ზემდგომ თანამდებობის პირთან (მის.: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №144), რომლის გადაწყვეტილება საჩივრდება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

გაფრთხილება!

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დამრღვევმა ჯარიმა ნებაყოფლობით უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებიდან (გაცნობიდან) 30 დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის **ან/და** საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება საჯარიმო სანქციისა და დარიცხული საურავის გადახდის იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილება ჩაბარებულად ჩაითვლება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.moh.gov.ge) ან/და სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვეყნების დღიდან.

დანართი №1

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური
მისამართი: ქ.თბილისი, მ.თამარაშვილის №15ა
მ ი თ ი თ ე ბ ა №003212/ო
შედგენის თარიღი: 07.03.2022 წ.

საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახურის მიერ, დამრღვევის მიმართ სახდელის სახედ გაფრთხილების ან ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში გასცემს მითითებას გონივრული ვადაში დარღვევების გამოსწორების შესახებ.

ობიექტის დასახელება: შპს „ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა" ს/ნ 404866123
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N 29-31-33
ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N 29-31-33
დირექტორი
ეროვნული კლასიფიკატორი (NACE 2016): Q.86.10.0
„ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის მეთოდებისა და რისკის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" მე-80 დადგენილების მიხედვით: მაღალი რისკის სექტორი
საკონტაქტო პირი/ინფორმაცია
შრომის უსაფრთხოების მენეჯერი: ორგანიზაციას არ ჰყავს უსაფრთხოები სპეციალისტი
დასაქმებულთა რაოდენობა- სულ: 592 პირი; ქალი-433; კაცი-159; არასრულწლოვანი -0; ორსული, ახალნამშობიარები/ მეძური ქალი-1.
დასაქმებულთა წარმომადგენელი - ორგანიზაციას არ ჰყავს დასაქმებულების წარმომადგენელი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ, „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე გეგმური ინსპექტირების ფარგლებში, ბრძანება №09-65/ო-ს საფუძველზე 2022 წლის 24 თებერვალს ქ.თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზ. № 29-31-33-ში შპს „ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა"-ს ობიექტზე განხორციელდა გეგმური ინსპექტირება. ინსპექტირების პროცესში მოვახდინეთ დამსაქმებელთან და დასაქმებულთან გასაუბრება, ობიექტის დათვალიერება და ფოტო-ვიდეო გადაღება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა. კერძოდ: ორგანიზაციას არ ჰყავს სათანადო რაოდენობის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები. დამსაქმებელი ვალდებულია 100-ზე მეტი დასაქმებულის შემთხვევაში შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით, ან მოიწვიოს აღნიშნული დარგის სპეციალისტები/ორგანიზაციები.

ორგანიზაციის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი პრევენციული ღონისძიებების გეგმა, ასევე საფრთხის იდენტიფიცირებისა და რისკის შეფასების დოკუმენტი. დამსაქმებელი ვალდებულია შეიმუშაოს თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს. ამასთან, საწარმოო გარემოს და სამუშაო პროცესის გათვალისწინებით მოახდინოს ყველა არსებული საფრთხის იდენტიფიცირება, მათგან მომდინარე რისკების შეფასება და შესაბამისი საკონტროლო ღონისძიებების დანერგვა – განხორციელება, „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 01-15/ნ ბრძანების შესაბამისად.

ორგანიზაციის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი, დასაქმებულისთვის სწავლების/ინსტრუქტაჟის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი. დამსაქმებელი ვალდებულია განსაზღვროს დასაქმებულების სწავლების/ინსტრუქტაჟის ჩატარების შესახებ გეგმა-გრაფიკი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს: სამუშაოს სპეციფიკის შესაბამის კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და რისკის შეფასებისა და საფრთხის იდენტიფიცირების ანალიზზე დაფუძნებულ სისტემას. თანამშრომლებს მიაწოდოს ინფორმაცია უსაფრთხო შრომის პრინციპების, შრომის უსაფრთხოების ნორმებისა და სამუშაო პროცედურების, საგანგებო სიტუაციებისა და საევაკუაციო ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

ორგანიზაციის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შიდა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრული პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნება განახორციელოს ზედამხედველობა ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფ დასაქმებულებზე და არ დაუშვას ასეთ მდგომარეობაში მყოფი დასაქმებულები სამუშაოზე.

ორგანიზაციის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა. დამსაქმებელი ვალდებულია შეიმუშავოს საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილი უნდა იყოს საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ მისაღები ზომები.

ორგანიზაციის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი უბედური შემთხვევის/ინციდენტის რეგისტრაციის ჟურნალი. დამსაქმებელი ვალდებულია აღრიცხოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები, პროფესიული დაავადებების შემთხვევები და საშიში შემთხვევები და მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს დასაქმებულს ან/და დასაქმებულთა წარმომადგენელს.

ობიექტის კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული ჟანგბადის ბალონების განთავსება და ასევე მათი გადაადგილება მოხმარების მიზნით (ჟანგბადის ბალონების ტრანსპორტირება უნდა ხორციელდებოდეს ვერტიკალურ მდგომარეობაში. შევსებული და ცარიელი ბალონები უნდა

ინახებოდეს კონტეინერებში ან გალიებში), არ ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

შრომის უსაფრთხოების ორგანული კანონით განსაზღვრულია დასაქმებულების წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმება. „დამსაქმებლის ხარჯით დასაქმებულის სავალდებულო პერიოდული სამედიცინო შემოწმების შემთხვევათა ჩამონათვალისა და წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №215/ნ-ის მოთხოვნების შესაბამისად. ინსპექტირების პროცესში დამსაქმებელის მიერ არ იქნა წარმოდგენილი პერსონალის პერიოდული სამედიცინო შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ობიექტზე არსებულ იმ კაბინეტებთან, სადაც განთავსებულია მაიონებელი გამოსხივების მქონე დანადგარები განათავსეთ შესაბამისი მაფრთხილებელი ნიშნები, ამასთან შეიზღუდოს უცხო პირთა დაშვება ჟანგბადის მწარმოებელ დანადგარებთან და აღიჭურვოს შესაბამისი მაფრთხილებელი ნიშნებით.

დამსაქმებელი ვალდებულია შეაფასოს მის განკარგულებაში მყოფ ლიფტთან დაკავშირებული ყველა საფრთხე, რათა აღნიშნული შეფასების საფუძველზე მიიღოს საჭირო ზომები უსაფრთხოების უზუნველსაყოფად.

ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ელექტრიკოსის დოკუმენტი არ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

N	**გაცემული მითითებები**
1	დამსაქმებელი, 100 ან მეტი დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში ვალდებულია შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით. თუ საწარმოს სიდიდის, დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, დამსაქმებელს არ ჰყავს სათანადო რაოდენობის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, დამსაქმებელი ვალდებულია მოიწვიოს აღნიშნული დარგის სპეციალისტები/ორგანიზაციები. *„შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მუხლი 7.*
2	დამსაქმებელმა მუშაობის ყველა ეტაპზე ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად, საწარმოს სიდიდიდან და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესის მიხედვით უნდა შეაფასოს ეს რისკი, უნდა განაახლოს რისკის შეფასების შესახებ დოკუმენტი და მიიღოს შესაბამისი ზომები შემდეგი საერთო პრინციპების საფუძველზე: ა) იზრუნოს არსებული რისკების თავიდან აცილებაზე; ბ) შეაფასოს ის რისკები და საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია; გ) იზრუნოს საფრთხის შემცირებაზე, მათ შორის, მისი წყაროს აღმოფხვრაზე;

	დ) თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით ჩაანაცვლოს საფრთხის შემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით; ე) შეიმუშაოს თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს; საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავეთ წერილობითი დოკუმენტი, გამოავლინეთ საფრთხის შემცველი ფაქტორები, გამოავლინეთ საფრთხის ქვეშ მყოფი დასაქმებულები, შეაფასეთ რისკები და დაგეგმეთ გასატარებელი ღონისძიებები, გაატარეთ შესაბამისი ღონისძიებები საფრთხეების აღმოფხვრისა და რისკების შესამცირებლად, აწარმოეთ სისტემატური მონიტორინგი და აკონტროლეთ ნარჩენი რისკები. *„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მუხლი 6, პუნქტი 1, „ა,ბ,გ,დ,,ე“ ქვეპუნქტები.* **„სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 01-15/ნ ბრძანება.**
3	საწარმოს სიდიდის, დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, უზრუნველყავით დასაქმებულებისთვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება და მათ გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდება: ა) შრომის უსაფრთხოების სამართლებრივი და სხვა ნორმების, ასევე უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ; ბ) სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ; გ) საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ; დ) არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. საწარმოს სპეციფიკიდან და რისკის შეფასების შესახებ დოკუმენტიდან გამომდინარე, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად და სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან ასაცილებლად უზრუნველყავით: რისკის შემცველ სამუშაო ადგილებზე მხოლოდ იმ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის დაშვება, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი სპეციალური სწავლება ან ინსტრუქტაჟი; *„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, მუხლი 5, მე-2 პუნქტი, ქვეპუნქტები: „ა“, „ბ“, „გ“, „დ“; მუხლი 5, მე-3 პუნქტი; მუხლი 6, პირველი პუნქტი, ქვეპუნქტი „თ“; მუხლი 6, მე-3 პუნქტი, ქვეპუნქტი „ბ“.*
4	არ დაუშვას სამუშაოზე დასაქმებული ან/და სხვა პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში იმყოფება, და ამ მიზნით შიდა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვროს დასაქმებულების ან/და სხვა პირების ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილი იქნება, ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნულ პროცესს. **„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, მუხლი 6, პუნქტი 3, „ი“ ქვეპუნქტი.**

5	საწარმოს სიდიდისა და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულებს, დასაქმებულთა წარმომადგენელს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს ან/და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირს მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც შეეხება: საგანგებო სიტუაციებს, საევაკუაციო გეგმებს და მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში მისაღებ ზომებს, აგრეთვე იმ ღონისძიებებსა და პროცედურებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ავარიის ან ხანძრის შემთხვევაში. *„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 5, პუნქტი 5, ქვეპუნქტი „გ“.*
6	დამსაქმებელი ვალდებულია აღრიცხოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები, პროფესიული დაავადებების შემთხვევები და საშიში შემთხვევები და მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს დასაქმებულს ან/და დასაქმებულთა წარმომადგენელს; ე) უზრუნველყოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების რეგისტრაცია; დაუყოვნებლივ მიიღოს პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის შემდგომი საფრთხის თავიდან აცილებისათვის აუცილებელი ზომები *„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, მუხლი 5, პუნქტი 1. „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები მუხლი 15, პუნქტი 2, „ა“ ქვეპუნქტი.*
7	შევსებული და ცარიელი ბალონები უნდა ინახებოდეს კონტეინერებში ან გალიებში. **„ჰაერის დაყოფის პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N79 დადგენილება, მუხლი 17**
8	უზრუნველყოს დასაქმებულისათვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში; **„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, მუხლი 6, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „თ“** **„დამსაქმებლის ხარჯით დასაქმებულის სავალდებულო პერიოდული სამედიცინო შემოწმების შემთხვევათა ჩამონათვალისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №215/ნ, 2007 წლის 11 ივლისი**
9	კოლექტიური დაცვის საშუალებებს მიანიჭოს უპირატესობა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებთან შედარებით, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი; საწარმო აღჭურვოს შესაბამისი კოლექტიური დაცვის საშუალებებით; *საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“ , მუხლი 6, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ზ“, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „ვ“*
10	ლიფტის მფლობელი ვალდებულია შეაფასოს მის განკარგულებაში მყოფ ლიფტთან დაკავშირებული ყველა საფრთხე, რათა აღნიშნული შეფასების საფუძველზე მიღებული იქნეს საჭირო ზომები უსაფრთხოების უზუნველსაყოფად. ექსპლუატაციაში მყოფი ლიფტის საიმედობის დადგენის მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი ტექნიკური შემოწმება სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად *საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის დადგენილება №446 ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე მუხლი 3 პუნქტი 1, მუხლი 5 პუნქტი 1.*

11	ელექტროდანადგარებზე მომუშავე პერსონალი ვალდებულია იცოდეს წინამდებარე წესები დაკავებული თანამდებობების ან პროფესიის შესაბამისად და მინიჭებული ჰქონდეს ელექტროუსაფრთხოების ჯგუფი დანართი №2-ის მიხედვით. მომუშავეს, რომელმაც გაიარა წესების ცოდნის შემოწმება, ეძლევა დადგენილი ფორმის მოწმობა (დანართი №1). *„ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბერის №340 დადგენილება მუხლი 4, პუნქტი 4.*

დამრღვევის ახსნა-განმარტება მითითების ვადასთან დაკავშირებით

(ზედამხედველი ორგანოს მიერ დადგენილი გონივრული ვადა შეიძლება შეთანხმდეს სამართალდამრღვევთან, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე)

მითითების გამოსასწორებელი ვადა შეადგენს 45 კალენდარულ დღეს.

მითითების გამცემი (თანამდებობა, სახელი, გვარი):
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის, შრომის ინსპექტორები:

შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების განმახორციელებელი სამსახური, გაცემული მითითებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ამოწმებს სამართალდამრღვევს, რის შესახებაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აღინიშნება საწარმოს ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ:

ა) მითითება შესრულდა.
ბ) მითითება არ შესრულდა.
მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახურის უფლებამოსილი პირი იყენებს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს და აღნიშნავს მას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში.

მითითება ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

_____ _____

სამართალდამრღვევის პირის მიერ მითითების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა:

_____

სსიპ შრომის ინსპექციის სა.

სამართალდამრღვევი: